პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
კვირა, 18 მაისი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.
ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი მეომარი



№ 501 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატი.

ამ დღეებში მთელ საბჭოთა კავშირში დაარსდა ახალი შინაურ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. ასეთი კომისარიატი დაარსდა კერძოთ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკაშიაც.

რატომ შეიქმნა საჭირო საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეშვიდე წელში ახალ კომისარიატის დაარსება?

ოქტომბრის რევოლიუციამ გააუქმა რა კერძო საკუთრება, აგრეთვე მონოპოლია უყო საგარეო ვაჭრობასაც. არც ერთ კერძო პირს თუ ფირმას არ აქვს მინიჭებული უფლება აწარმოოს ვაჭრობა უცხოეთთან საბჭოთა კავშირიდან. ყველა სავაჭრო ოპერაციები უცხოეთთან ხელში აქვს აღებული საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს. სავაჭრო წარმომადგენლობის საშუალებით სწარმოებს ვაჭრობა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან.

შინაური მდგომარეობა კი სულ სხვა გვარია.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ კერძო ვაჭრობას ნება დართო. ამ ხნიდან საბჭოთა კავშირში გაიზარდა კერძო ვაჭრობა. და გაიზარდა იმდენად, რომ ის საფრთხეს უმზადებს ჩვენს მრავალ მონაპოვარს. სახელმწიფო ტრესტები დიდ ვაჭრობას აწარმოებდენ კერძო კაპიტალთან.

კერძო სავაჭროები გამრავლდა. კერძო კაპიტალი გაიზარდა. სახელმწიფოს ტრესტებიდან გამოტანილ საქონელზე კერძო ვაჭარი აუარებელ ფულს გებულობდა. კოოპერაცია კი ამ დროს განზე იდგა და თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ვაჭრობაში. ბაზარი კერძო კაპიტალმა დაიპყრო. კოოპერაცია თითქმის განიდევნა ბაზრიდან.

კერძო კაპიტალი შეიჭრა არა მარტო წვრილ ვაჭრობაში, არამედ მან საბითუმო ვაჭრობაშიც დიდი ადგილი დაიკავა.

ასეთი გარემოება საქონელს აძვირებდა.

სოფელს საქონელი კერძო ვაჭრის საშუალებით წვდებოდა, რომელიც თავის ჯიბის სასარგებლოდ ფასებს უწევდა საქონელზე. ქალაქშიაც ასეთი მდგომარეობა იყო. შინაური ვაჭრობა მოკლებული იყო ხელმძღვანელს. კოოპერაცია ვერ უწევდა მეტოქეობას კერძო კაპიტალს. დამხმარე არავინ ყავდა.

შინაურ ვაჭრობას თუმცა ხელმძღვანელობდა ე. წ. შინაურ ვაჭრობის კომისია (კომვნუტორგი), რომელიც არსებობდა შრომის და თავდაცვის საბჭოსთან, ამიერ-კავკასიაში კი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან მაგრამ მისი ფუნქციები შემოკლებული იყო და ამისათვის მას არ შეეძლო სრული ხელმძღვანელობა გაეწია შინაურ ვაჭრობისათვის.

ეხლა კი აუცილებელ საჭიროდ იქნა ცნობილი,—შინა-ვაჭრობის კომისარიატის დაარსება.

შინაურ ვაჭრობის კომისარიატის დანიშნულება არის: გეგმაშეწონილი მოგვარება საქონლის გაცვლა-გამოცვლის; კურსის აღება კოოპერაციაზე და წვრილ სახელმწიფო ვაჭრობაზე (იქ, სადაც კოოპერაცია ჯერ კიდევ სუსტია), ბრძოლა კერძო ბითუმად მოვაჭრეებთან; უშუალო კავშირის დაჭერა სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობას და კერძო წვრილ ვაჭრობას შორის, იმდენად რამდენადაც სახლმწიფო საბითუმო ვაჭრობა და კოოპერაციის ჯერ კიდევ არ დაუპყრია ბაზარი: ერთნაირი ხასიათის სავაჭროების გაერთიანება; ზედმეტ ინსტანციების აცილება და სხ.

შინაურ-ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობა არის მიმართული რესპუბლიკის შინაურ ბაზრის ეკონომიურად დამორჩილებისაკენ. შინაურ ბაზრის სრული დაპყრობა და მისი შეთანხმება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან—აი ახალი კომისარიატის ამოცანები.

# რადიო-დეპეშები

— მილიუკოვის ორგანო მოითხოვს საფრანგეთისაგან საბჭოთა რუსეთის ცნობას.

— პოლონეთში კვლავ მძვინვარებს თეთრი ტერორი ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ.

რუსეთ-ინგლისის კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

— ბუქარესტში ტახტის მემკვიდრის თავმჯდომარეობით შესდგა გენშტაბის საიდუმლო სხდომა.

— კავკასიაში ამ ბოლო ხანში გაიხსნება ვეტერინარული სკოლა ერთ-ერთ ნაციონალურ ენაზე.

— საფრანგეთის ახალი მთავრობა კრიტიკულ პოზიციას დაიჭერს პოლონეთისადმი.

## ინგლის-საბჭოთა კონფერენციის მიმდინარეობა.

რამოდენიმე კვირის კომისიებში მუშაობის შემდეგ, 15 მაისს შედგა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარული სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა სხვა და სხვა კომისიების მუშაობა.

ინგლისის გაზეთები ათავსებენ პლენარულ სხდომის ანგარიშს უკომენტარიოთ. ალბათ ინგლისის პრესა ამ დღეებში შეეხება სხდომის ანგარიშს. მაგრამ ცხადია, რომ ვერც ერთი ინგლისერი გაზეთი, თუ ის საქმიან თვალსაზრისით მიუდგება საკითხს, ვერ დაასკვნის, რომ კონფერენციის მუშაობა ცუდათ მიმდინარეობდეს.

ინგლის საბჭოთა კონფერენციამ, გაწვლო ინგლისის რეაქციონურ ელემენტების თავდასხმის და ცილისწამების ხანა. დღეს ვერც ერთი ინგლისელი გაზეთი ვერ ბედავს საბჭოთა დელეგაციის ლანძღვა გინებას.

საქმე იმაშია, რომ საბჭოთა მთავრობის და მისი დელეგაციის საქციელმა დაუმტკიცა ყველას, რომ საბჭოთა მთავრობა მოწადინებულია ლონდონის კონფერენციის ბრწყინვალედ დამთავრების.

ასეთი სურვილი ინგლისის დღევანდელ მთავრობასაც აქვს. და არა მარტო მთავრობას არამედ, ინგლისის ბურჟუაზიის დიდ ნაწილსაც მხოლოდ ინგლისის ბურჟუაზიის რეაქციონური ნაწილი იყო და არის უთუოდ დაინტერესებული ლონდონის კონფერენციისჩაშლაში.

ლონდონის კონფერენცია ნაყოფიერად მუშაობს. თუმც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს კონფერენცია შეთანხმებით და სათანადო ხელშეკრულების დადებით დამთავრდება. მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს კონფერენციის ჩაშლის ნიშნები არ არის.

მაკდონალდის მთავრობა დიდი პატივისცემით ეპყრობა ჩვენს დელეგაციასა რასაკვირველია მაკდონალდი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც ინგლისის ბურჟუაზიის სურვილისამებრ მოქმედებს. ინგლისის ბურჟუაზია დაინტერესებულია ჩვენი ნედლი მასალით. მას ბევრს შემატებს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ეხლა უფრო შეეცდება ლონდონის კონფერენციაზე შეთანხმების მიღწევას, რადგანაც საბჭოთა კავშირი დღეს თუ ხვალ საფრანგეთის მიერ იქნება ცნობილი და, საფრანგეთს თავის მოსისხლე მტერს, არ მისცეს საშუალებას „რუსეთის საკითხში“, გასწრების.

საფრანგეთის არჩევნების შედეგები დიდ ცვლილებებს შეიტანს მსოფლიო პოლიტიკაში. კერძოთ ის უთუოდ მოახდენს გავლენას ლონდონის კონფერენციაზე.

ჩვენი კავშირი ურყევია. ყველა ცდილობს მასთან მოლაპარაკების დაწყებას და ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას. თუ ინგლისის ბურჟუაზია ასე არ მოიქცევა ის მეტს წააგებს.

## საბჭოთა კავშირი.

25 მაისს ამხ. ტროცკის სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე მოხალისეთა საჰაერო ფლოტის საზოგადოება, გადასცემს კარგად მოწყობილ ლენინის სახელობაზე მოწყობილ საბრძოლ ესკადრილიას 13 პარტიულ ყრილობას. ესკადრილია შესდგება 19 თვითმფრენისაგან. თითეული თვითმფრენი ატარებს იმ ორგანიზაციის სახელს, რომლის გაღებული წვლილით იქნა ის აშენებული.

**ბერლინისას არ ჩამოუვარდებიან.**

საბებიო გინეკოლოგიურ ყრილობაზე ჩამოსულ ცნობილ ბერლინელ გინეკოლოგ ლიპმანმა ამხ. სემაშკოსთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მოსკოვის კლინიკები ექიმთა შემადგენლობისა და საერთო მოწყობილებით არ ჩამოუვარდებიან ბერლინის კლინიკებს. დედებისა და ბავშვების დაცვის საქმეში საბჭოთა რუსეთმა ბევრი ახალი რამ შეიტანა, რაც საჭიროა სხვა ქვეყნებმაც გადაიღოს.

**კავკასიის ვეტერინარ და საფერშლო სკოლა.**

ამ ახლო ხანში კავკასიაში გაიხსნება ვეტერინალურ საფერშლო ნაციონალური სკოლა, რომელიმე ერთ ეროვნულ ენაზე.



## საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის და ჩინეთის გეოგრაფიულ ურთიერთობის პირობები ისეთია, რომ ორივე სახელმწიფოებმა ერთი-მეორეს ეკონომ. და პოლიტიკურ ვითარებაზე დიდი გავლენა უნდა იქონიონ. ჩინეთის სახელმწიფო და მისი მთავრობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს პაროდიაა არც ერთი ასეთი დიდი აღმოსავლეთის სახელმწიფო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინდოეთს, რომელიც უფლებრივ მხრივ ჩინეთისაგან დიდად განსხვავდება) არ ყავს ისე დაგდებული იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, როგორც ჩინეთი. მის ძარცვაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა მეფის რუსეთიც. ოქტომბრის რევოლიუციის მეორე დღესვე საბჭოთა ხელისუფლებამ საზეიმო დეკლარაციით აუწყა მსოფლიოს, ჩინეთის ყოველ-გვარ ვალდებულებების მეფის რუსეთის წინაშე გაუქმების შესახებ და მან სურვილი განაცხადა ამავე დეკლარაციაში სრულ თანასწორების საფუძვლებზე მოლაპარაკების დაწყების. მაგრამ დახეთ ისტორიის ირონიას!? ამ დღეებიდან დაწყებული მოლაპარაკება დღემდის არ დასრულებულა სასურველად. ამ დღეებში შესაძლებელია კიდევ განახლდეს მოლაპარაკება, მაგრამ აქაც გამოჩდენ ჩინეთის ახალი „კეთილის მსურველნი“ აი რას სწერს ამის შესახებ გაზეთი „ზ. ვ.“

ექიმვანთან ინციდენტმა (აქ ლაპარაკია სამი თვის წინეთ ექიმვანთან დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც არ დაადასტურა ჩინეთის მთავრობამ) ძლიერ გაამწვა მდგომარეობა.

როგორც გამოირკვა, ჩინეთის მთავრობის ასეთი მოქმედება ამ საკითხში, გამოწვეულ იყო საფრანგეთის ზეგავლენით.

რუსეთ-აზიის ბანკის საკითხი, რომელშიც ფრანგები ძლიერ დაინტერესებულნი არიან იყო მიზეზი საბჭოთა,— ჩინეთის მოლაპარაკებაში საფრანგეთის ჩარევისა. აი როგორ დასცინის ხოლმე ხანდახან ისტორია! ჩინეთის მთავრობა იძულებული შეიქნა დაეცვა იმ ბანკის აქციონერები, რომლებიც მრავალ წლეების განმავლობაში ყვლეფდენ ჩინეთის ხალხს. ამის შემდეგ კიდევ შეიქმნა შესაძლებელი მოლაპარაკების დაწყების და მისი სასურველად წაყვანის, მით უფრო რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მხრივ მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩინეთს კიდევ სხვებიც ყოლია „კეთილის მსურველი“. გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აცნობა ჩინეთს, რომ ცნობა უკანასკნელის მხრივ საბჭოთა კავშირის იქონიებს ცუდ შედეგებს, რაც გამოწვეულია, როგორც იგივე დეპეშა იუწყება, ამერიკულ პრეტენზიების უზრუნველყოფითი სურვილით, რომელიც აღწევს 8 მილ. დოლარამდე, რაც გამოხატავს ამერიკის მიერ გაწეულ ხარჯებს 1918 წ. ციმბირის ექსპედიციის დროს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის რეორგანიზაციაზე. გამოდის, რომ, ჩინეთის ხალხი ვალდებულია გადაიხადოს ის ხარჯები, რომელიც ამერიკამ გასწია ნიკოლოზის რეჟიმის აღსადგენად, რაც უშედეგოდ დასრულდა, ისეთი რეჟიმის, რომელიც მუდამ მტრულად იყო განწყობილი ჩინეთთან“.

# ჩვენ და ისინი.

## საბჭოთა-რუმინეთის კონფლიქტი.

### მოთმინებას კარგავენ.

სამხედრო წესები ბესარაბიაში გაძლიერებულია. ოლქის სარდალს მიენიჭა დიქტატორის უფლებები. კიშინიოვში ჩამოსულებს ჩხრეკავენ.

„უნივერსულ“ საბჭოთა აგიტაციის გაძლიერების გამო ბესარაბიაში მოითხოვს სამოქალაქო მოხელეების სამხედროთ შეცვლას.

## საბჭოთა-უნგრეთის დამოკიდებულება.

იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა და უნგრეთის შორის დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად მოსპონ ყოველივე დაბრკოლება, უნგრეთის მთავრობამ ამოშალა დიპლომატიურ კორპუსის სიიდან ყოფილი მეფის საელჩოს წარმომადგენლები.

## იტალია და ს. ს. ს. რ.

### იტალიის მთავრობის სამძიმარი.

ამხ. ვოროვსკის გარდაცვალებიდან წლის თავზე, იტალიის მთავრობამ სამძიმარი გამოუცხადა ს. ს. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენელს.

## იაპონია და ს. ს. ს. რ.

ტოკიოს პრესა იუწყება, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ისწრაფის, რაც შეიძლება მალე იოაწესრიგოს საბჭოთა კავშირთან საკითხი.

## ჩინეთი და ს. ს. ს. რ.

### ჩინეთის პროლეტარიატი ხსნას ელის ს. ს. ს. რ.

ამხ. რიკოვმა მიიღო სამძიმრის დეპეშა შანხაის მუშათა ორგანიზაციებიდან ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყნის მილიტარისტული მთავრობამ თავის საშინელი საქციელით გადააჭარბა ყოველივე საზღვარს. მუშათა განვითარების და აღზრდის საკითხი ძალიან ცუდად სდგას“.

## საბჭოთა-შვეციის შეთანხმება.

10 მაისს საბჭოთა-შვეციის შეთანხმება ძალაში შევიდა. აღდგენილია ამ ორ სახელმწიფოთა შორის ფოსტა-ტელეგრაფის ხაზი. შეთანხმებაში ჩართულია დეკლარაცია, რომელიც აცხადებს, რომ ორივე მხარე ტოვებს პრეტენზიების განცხადებების უფლებებს კერძო ქონების დაბრუნების შესახებ. შეთანხმებას დართულ აქვს თან ს.ს.ს.რ. დეკლარაცია, რომ დაცული იქნება მისი უფლება, როგორც მესაკუთრესი ყველა ყოფილ რუსეთის სამხედრო და სავაჭრო ფლოტზე, აგრეთვე შვეციის მთავრობის განცხადება შვეციის მიისიის შენობის გადაცემა ლენინგრადში მასზე.

## დახმარება დამშეულ ძმებს.

სლავგოროდის მუშებმა და მოსამსახურეებმა შეისყიდეს 2,000 ფუთი პური და გადაგზავნეს მაზრის დამშეულ რაიონებში.

## შორს საბჭოთა ხელის უფლების მტრები და ცრუ სპეცები!

საბჭოთა დაწესებულებების გამწმენდმა კომისიამ თამბაქოს (მახორკა) ტრესტისა და შაქრის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა გაწმენდის დროს აღმოაჩინა საპასუხისმგებლო თანამდებობზე ცრუ სპეცები, რომლებიც მოითხოვდენ მაღალ კვალიფიკაციობას და საბჭოთა ხელისუფლების მტრები. კიევის „მოქმედების ცენტრის“ სამართალში მიცემული წევრები იკოვლევი და მასკვენი მსახურებდენ შაქრის ტრესტში და ხშირად მიემგზავრებოდენ მივლინებაში საზღვარ გარედ თითქოს სამსახურის საქმეებზე.

## გერმანიაში მომხდარ ინციდენტის გარშემო.

### სავაჭრო ბოიკოტი.

შეწყვეტილია რუსეთის ხორბლეულობის გაყიდვა გერმანიაზე ხორბლით დატვირთული საბჭოთა გემებს აკრძალული აქვს გერმანიის ნავთსადგურებში შესვლა

### ქედის მოხრა მოსკოვის წინაშე.

მემარჯვენე პრესსა უკმაყოფილებას გამოსთქვამს მთავრობის მიერ დაკავებულ პოზიციაზე კონფლიქტის საკითხში.

„ლოკალ ანცეიგერ“-ს თავდამსხმელ პოლიცის ხელმძღვანელის ვეისის შევბულებაში დათხოვნა გამოძიების დამთავრებამდე მიაჩნია ქედის მოხრად მოსკოვის წინაშე, რაც, გაზეთის აზრით, „არ შეფერის თუნდაც დღევანდელ გერმანიასაც“.

„როტე-ფანე“ ხაზს უსვამს, რომ ს. ს. ს. რ. არ მისცემს თავის თავს უფლებას, რომ ის მოექცეს გერმანიას, როგორც ექცევიან მოკავშირენი და აცხადებს რომ როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდება გერმანიაში მას შეუძლია უჩვენოს თავისი ძალა ანტანტას.

# განცხადება.

ორშაბათს ა/წ 19-მაისს, საღამოს 6 საათზე თბილისის ალმასკომის შენობაში დანიშნულია თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1. კომუნალურის—ალმასკომის დარბაზში.
2. საფინანსოსი—საფინ. განყ. კანცელარიაში ოთახი № 17.
3. განათლების--განათლ. განყ. № 32.
4. საადგილ-მამულო—საადგილ მამ. განყ. კანც. ოთახი № 31.
5. ზაჰესკომის—ზაჰესკომის კანცელარია.

### დღის წესრიგი:

| | |
|---|---|
| კომუნალურის: | 1. ცენტ-ალმშენებლობის მოხსენება. |
| | 2. მიმდინარე საკითხები. |
| საფინანსო: | 1. პრაქტიკული ნაბიჯები საფინანსო პოლიტიკაში. |
| განათლების: | 1. შრომ. სკოლ. მდგომარ. მოხსენებები ადგილებიდან |
| საადგილ-მამულო: | 1. მიწის მოწყობა მაზრაში. |
| | 2. მიმდინარე საკითხები. |
| ზაჰესკომის: | 1. მიმდინარე პრაქტიკული საკითხები. |

**სექციების ყველა წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა.**

ალმასკომის სექციების ხელმძღვანელი: **არ. რუხაძე**

# სუნ-იატ-სენი და ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობა.

ამ დღეებში რადიომ მოიტანა პატარა ცნობა: პეკინიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გარდაიცვალა სუნ-იატ-სენი.

ჩვენში ბევრისათვის უცხო და უცნობია ეს სახელი. მაგრამ სუნ-იატ-სენს იცნობს მსოფლიო. მას იცნობენ როგორც ევროპა—ამერიკის კაპიტალისტური ქვეყნები, ისე საბჭოთა რუსეთი და განსაკუთრებით შორეული აღმოსავლეთი. ეს ადამიანი რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში თავდადებულად ემსახურებოდა ჩინეთის ოთხას მილიონ ხალხს, მათ ინტერესებისათვის იბრძოდა.

სუნ-იატ-სენი ჩინეთის, უდიდესი რევოლიუციონერია: მან მთელი სიცოცხლე შესწირა ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლას ოცდაათ წელზე მეტი ის იდგა ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის სათავეში, ოცდა ათ წელზე მეტს ის ებრძოდა თავის სამშობლოს დამჩაგვრელებს.

1911 წლის რევოლიუციამ ჩინეთში დაამხო მონარქიული წესწყობილება და დააწესა რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა. ამის შემდეგ ჩინეთში დაიწყო რეაქცია. იუან-ში-კაიმ თავი გამოაცხადა იმპერატორად. სუნ-იატ-სენმა, რომელიც რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრში იდგა, იგრძნო, რომ ბრძოლა ხელახლა იწყებოდა.

რევოლიუციონური ძალები დაიქსაქსა სუნ-იატ-სენმა კვლავ დაიწყო ბრძოლა. ის გამაგრდა სამხრეთ ჩინეთში და იქიდან განიზრახა ჩინეთის სახელმწიფოს დანარჩენ ადგილების ხელში ჩაგდება. ის შეუდგა მის მიერ დაარსებულ, მაგრამ შემდეგ დაქსაქსულ პარტიის გო-მინ-დანის აღდგენას. თავის მოქმედების ცენტრად შანხაი გაიხადა.

მთელი წლების განმავლობაში აწარმოებს სუნ-იატ-სენი გმირულ ბრძოლას ჩრდილოეთ ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგი. 1920 წელს მან უკვე შესძლო მთელი სამხრეთ ჩინეთის გაერთიანება. იქ სუნ-იატ-სენი ამორჩეულ იქნა საგანგებო პრეზიდენტათ. მაგრამ ეს გამარჯვება სუნ-იატ-სენს არ აკმაყოფილებდა. მისი ოცნება იყო მთელი ჩინეთის დაპყრობა. ის ჩაუდგა სათავეში ე.წ. კანტონის მთავრობას და იქიდან აპირებდა ბრძოლას ჩრდილოეთ ჩინეთის წინააღმდეგ. ბრძოლის შემდეგმა განვითარებამ ის დაუპირდაპირა ბურჟუაზიულ რევოლიუციის მეორე მეთაურს უ-პეი-ფუს, რომელსაც დაუწყო ბრძოლა. ამ დროს სუნ-იატ-სენმა დაუშვა დიდი შეცდომა, რომელმაც მას სახელი გაუტეხა მასების თვალში. საქმე იმაში იყო, რომ უ-პეი-ფუს წინააღმდეგ საბრძოლველად სუნ-იატ სენი შეუთანხმდა რეაქციონურ გენერალს ჩან-ზონ-ლინს. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ სუნ-იატ-სენს ჩამოცილდა მისი მიმდევარი. საკმაოდ გავლენიანი რევოლიუციონერი ჩენ-ტზი-მანი. ბრძოლის დროს უ-პეი-ფუმ დაამარცხა სუნ-იატ-სენის მოკავშირე, გენერალი ჩან-ზონ-ლინი. სუნ-იატ-სენი გაიქცა.

სუნ-იატ-სენი არ იყო სოციალისტი. ის ჩინეთის ახალ ბურჟუაზიის იდეოლოგიას უახლოვდებოდა. სუნ-იატ-სენი არ იბრძოდა მუშათა კლასისათვის, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია.

სუნ-იატ-სენი ებრძოდა უცხოეთის კაპიტალს, რომელიც შეიჭრა და გაძლიერდა ჩინეთში. მისი მიზანი იყო ევროპა-ამერიკა-იაპონიის კაპიტალის განდევნა ჩინეთიდან და საკუთარ ბურჟუაზიის გაძლიერება. პოლიტიკური მსოფლ მხედველობა სუნ-იატ-სენის, რომელიც დაედო საფუძვლად მის მიერ დაარსებულ გო-მინ დანის პარტიას, შემდეგი იყო: 1. ნაციონალიზმი, 2. დემოკრატიზმი, 3. სოციალიზმი.

ნაციონალიზმი სუნ-იატ-სენისათვის ნიშნავდა ხუთი ერის, რომელნიც მოსახლეობენ ჩინეთში, გაერთიანებას ერთ სახელმწიფოში სუნ-იატ-სენის დემოკრატიზმი ბევრად წააგავდა ჩვენი მენშევიკების დემოკრატიზმს. სოციალიზმი კი მას ესმოდა, როგორც მიწის ნაციონალიზაცია.

უკანასკნელ წლებში სუნ-იატ-სენი გაეცნო ლენინის იდეას და დიდათ ადევნებდა თვალ ყურს რუსეთის რევოლიუციას. სუნ-იატ-სენმა გადაიღო ლენინის იდეები და შეეცადა ის შეეფარდებია ჩინეთის სინამდვილისათვის. მაგალითად, მან გადაიღო სახელმწიფო კაპიტალიზმის და მრეწველობის სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადების იდეა.

სუნ-იატ სენის მნიშვნელობა ჩინეთის რევოლიუციისათვის დიდი იყო: ის ჭეშმარიტად მამა იყო ჩინეთის რევოლიუციის, მან აღიმაღლა ხმა ჩინეთის არისტოკრატიის წინააღმდეგ და გამოუცხადა მას სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. მაგრამ მისი პროგრამა გაურკვეველი იყო. ის არ გამოხატავდა სავსებით ახალ ბურჟუაზიის მისწრაფებებს. ახალგაზრდა ბურჟუა დააშინა მან თავისი ბუნტარული სულით. ბურჟუაზიას ეშინოდა სუნ-იატ-სენის. ბურჟუაზია ფიქრობდა, რომ თუ სუნ-იატ-სენი ძალა-უფლებას ჩაიგდებდა ძნელი გახდებოდა მისი დამორჩილება და ამისათვის გარბოდა მისგან. ამით აიხსნება მისი მოწინააღმდეგის უ-პეი-ფუს გაძლიერება, რომელიც დადგა წმინდა ბურჟუაზიულ კლასიურ ნიადაგზე და მოიხვეჭა ბურჟუაზიის ნდობა. სუნ-იატ-სენი კი მოკლებული იყო გარკვეულ კლასიურ იდეოლოგიას. ის არ ეკუთვნოდა სავსებით არც ბურჟუაზიას, არც მუშათა კლასს.

მიუხედავათ გარკვეულ პროგრამის უქონლობისა, სუნ-იატ-სენი მაინც უდიდესი რევოლიუციონერია.

სუნ-იატ-სენის სახელი უკვდავი დარჩება ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში. ამ ღრმად განათლებულ რევოლიუციონერს არ დაივიწყებს ჩინეთის ხალხი.

**ზეფირი.**

# ბურჟუაზიულ ქვეყნებში

## საფრანგეთის არჩევნების გამოძახილი.

### რუმინეთი დაფიქრდა.

საფრანგეთის არჩევნების შედეგებმა რუმინეთის მთავრობის წრეებზე მეტად ცუდათ იმოქმედა.

მთავრობის ორგანო „ვიტორული“ აცხადებს, რომ ბესარაბიის კონფლიქტმა დაადასტურა სამხრეთ სლავიას და რუმინეთის კავშირის არარაობა. კაპიტალისტური პრესა სცნობს რომ კაროლის უცხოეთში წასვლა და დუკას მაკდონალდთან მოლაპარაკება დამთავრდება არარაობით.

ოპოზიციონური პარტიები დიდ მნიშვნელობას აძლევენ საფრანგეთის არჩევნებს და მოელიან ბრატიანუს დამარცხებას. ოპოზიციონური პარტიები ცდილობენ ბლოკის შექმნას ბრატიანუს ჩამოსაგდებლად და მოსთხოვენ კაროლს მის გაძევებას. ამავე დროს ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს ეროვნულ უმცირესობასთან.

### სამხრეთ სლავიას იმედები უცრუვდება.

პუანკარეს დამარცხებამ მთავრობის წრეები ძლიერ დააფიქრა. მცირე ანტანტის ყველა გაზეთები გამოსთქვამენ იმედს, რომ საგარეო პოლიტიკა საფრანგეთის დარჩება უცვლელად.

### ჩეხო-სლოვაკია შეცვლის თავის პოლიტიკას.

იმის შიშით, რომ საფრანგეთმა არ დაასწროს, ჩეხო-სლოვაკია შეცვლის თავის პოლიტიკას ს. ს. ს. რ. მიმართ.

### ქარი საით დაუბერავს იქით წავა.

საფრანგეთის არჩევნების წინ იტალიის ფაშისტური გაზეთი ირწმუნებოდა, რომ პუანკარეს გამარჯვება აუცილებელიაო. ახლა იცვალა ფრონტი და მემარცხენე ბლოკს დაუწყო ლაქუცი. უკმაყოფილონი რურის ოკუპაციით მათ სწყურიათ სარეპარაციო გადასახადების და საკავშირთაშორისო ვალების გაუქმება და არავითარი შემთხვევაში არ სურთ ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა იმის შიშით რომ შეცვალონ იტალიის და სახელმწიფოთა საზღვარში.

### პოლონეთის სასოწარკვეთილება.

საფრანგეთის არჩევნების შედეგებმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მემარჯვენეებზე. სეიმის წრეებში შიში გამოიწვია თეთრ ტერორის წინააღმდეგ ერიო და პენლევეს მიერ ხელმოწერილმა პროტესტმა.

### საფრანგეთის ახალი მთავრობა დაიჭერს კრიტიკულ პოზიციას.

ბუნდოელების გაზეთ „ცეიტუნგის“ თანამშრომელთან საუბრის დროს პეპესოველების სენატორმა განაცხადა, რომ მემარცხენე ბლოკის გამარჯვების მიზეზები საფრანგეთში უნდა ვეძიოთ გლეხობაში. საფრანგეთ გერმანიის დამოკიდებულება ძირფესვიანად შეიცვლება და ამავე დროს საბჭოთა მთავრობაც ცნობილი იქნება საფრანგეთის მიერ. ახალი საფრანგეთის მთავრობა კრიტიკულ პოზიციას დაიჭერს პოლონეთის მიმართ.

### საფრანგეთი და სირია.

აჯანყებულთა მოძრაობის ხელმძღვანელი სირიაში თავის მოწოდებაში, რომელიც მიმართულია მთელი ქვეყნის მუსულმანების მიმართ, აცხადებს, რომ საფრანგეთის ძალადობის წინააღმდეგ ამდგარია 600.000 სირიელი მუსულმანი. აჯანყებულები იბრძვიან უკვე კსამი თვის განმავლობაში.

## საფრანგეთი და პოლონეთი.

### თვალის ასახვევად.

პოლონეთში წარმოებულ თეთრ ტერორის საწინააღმდეგოდ საფრანგეთის მეცნიერთა პროტესტის გამოსვლამ შექმნა სპეციალური კომისია განაპირა რაიონებში ბოროტმოქმედებათა გამორკვევის მიზნით.

კომისიის სხდომაზე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა და პეპესოველებმა მოიყვანეს მაგალითები პოლონეთის არმიის დაუნდობელი ქცევისა განაპირა რაიონებში,




## საკლუბო მუშაობა

12 მაისს, პირველ ლეგიონში, სადაც დაესწრენ როგორც ქართულ ნაწილებიდან, ისე რუსულ ნაწილებიდან უფროსი შემადგენლობა და კლუბის მომუშავენი—საინტერესო მოხსენება წაიკითხა ამავე ლეგიონის კლუბის გამგემ, ამხ. ვ. სიხარულიძემ.

მოხსენება ეხებოდა საკლუბო მუშაობის ახალ მეთოდს წითელ ჯარში.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. მამფორია და მდივნად ამხ. სოტნიკოვი (მე-9 პოლკის უფროსი)

მომხსენებელმა დაასურათა წარსულ მუშაობის საკლუბო მეთოდები, რომელსაც თუმცა ბევრი ღადებითი მხარეები ჰქონდა, მაგრამ ბევრი ჰქონდა ნაკლიც, რომელიც უნდა გამოსწორდეს ეხლა.

სადაცაა მოვლენ ყაზარმებში ახალწვეულნი და უნდა დავხვდეთ მომზადებულნი. წითელ არმიელს ძალად კი არ უნდა ვითრევდეთ კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობაში, არამედ ისე უნდა მოვაწყოთ ეს სკოლის გარეშე განათლება, რომ თითონ წითელი მოლაშრე დაინტერესდეს და ხალისით იაროს როგორც კლუბში, ისე „წითელ კუთხეებში“ და ყოველ წრეებში.

ის დასვენების ხანა, რომელიც მას ექნება სამხედრო მეცადინეობის შემდეგ, არ უნდა იქნეს უქმად ჩატარებული. ეხლანდელ ახალ წვეულებს ისე ვეღარ მიუდგებით, როგორც წინა ორ ჯერს. მასიური მუშაობის მეთოდი სულ სხვა გვარი უნდა დრჩეს.

მომხსენებელმა მოიყვანა თავისი მოსაზრებები მომავალ საკლუბო მუშაობისა, რამაც დიდი კამათი გამოიწვია.

მოხსენება მოკლედ სთარგმნა, რუსულად, ამხ. ლონგინოზ ხუტაშვილმა. გაჩაღდა ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ამხ. შავდიამ ვასილიევმა, წვენიევმა, გიგელიამ, კოლტიზნერმა, სოტნიკოვმა და სხვებმა.

ბევრი საინტერესო კითხვა წამოიჭრა აქ; ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ეს ყველაფერი უნდა დაეკისროს ლეგიონის და გუნდების უფროსებსა და სხვა.

რადგანაც კრებამ მწვავე ხასიათი მიიღო, კითხვა კი ვერ ამოწურა და დაგვიანდა—გადაიდო მომავალ ორშაბათისათვის, სადაც გაგრძელდება კამათი ამ კითხვაზე.

კრება შესდგება ახლად აღებულ გარნიზონის საზაფხულო ბაღში, ყოფილი „დაისი“ („ვეჩერნიე ზორი“). პლეხანოვის პროსპექტი. საღამოს ექვს საათზე. **ხანი.**

## პარტ-კომისიის მუშაობა ჯარში.

პარტ-კომისია, წმინდა პარტიული ორგანოა და მის მოვალეობას შეადგენს, როგორც ჯარში პარტ-ორგანიზაციების მუშაობის მეთვალყურეობა, ისე შესწავლა ნაწილებში მომხთარ პოლიტიკურ და ზნეობრივ ხასიათის მოვლენათა. ჩვენ ჯარს კი დიდ აწუხებს ტკივილები, რისგანაც საჭიროებს განკურნვას. მართალია, ყველა ნაწილებში გვყავს პოლიტ-მომუშავეებ-, მაგრამ ესენიც ვერ ასწორებენ ყველა საქმეების მოგვარებას, და ზოგიერთ შემთხვევაშიც უყურადღებოთ არა სტოვებენ უმნიშვნელო მოვლენებს. ამიტომ საჭიროა ამ საქმეში დაეხმაროს ჩვენ პოლიტ-მომუშავეებს პარტ-კომისიაც ამიტომ საჭიროა ყველა პარტ-კომისიის წევრების და კანდიდატების მიმაგრება ნაწილებზედ, სადაც პარტ ორგანიზაციასთან ერთად დაუახლოვდება ნაწილს ნაწილში მომუშავე პარტ-კომისიის წევრი ან კანდიდატი მოვალეა დაუახლოვდეს ყველა ასეულის ან გუნდების წ. მოლაშქრეებს, გამართოს საუბარი ან კრება პოლიტ-ხელთან ერთად და გამოარკვიოს წ. არმიელის ყოველ დღიური ჭირ-ვარამი, აუხსნას და განუმარტოს ყოველივე კითხვები რაც წ. არმიელის ცხოვრებას შეეხება, შეისწავლოს ყოველივე დანაკლისი რაც წ. არმიელის სულიერ მოთხოვნილებას აბრკოლებს და სხვა.

აგრეთვე შეისწავლოს ყველა ასეულის ცხოვრება და მათი დამოკიდებულება პოლიტ-ხელთან, ბიურო კოლექტივთან, სამხკომთან და სხვა. საჭიროა პარტ კომისიის წევრმა იცოდეს თავის ნაწილის წ. მოლაშქრე როგორ იკვებება, აქვს თუ არა თავის დროზედ საპონი, ვ ხშამი ჩაი და სხვა, აგრეთვე უნდა დაინტერესდეს თუ როგორი პროდუქტი მიდის ნაწილში, და როგორი სისუფთავე და წესრიგია დაცული სამზარეულოში და აგრეთვე გაშინჯოს პურის ხარისხი. ყველა ამათ გარეშე არის კიდევ უფრო საყურადღებო კულტურულ პოლიტიკური მოთხოვნილებები, ამ საკითხს ჩვენი პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს. ჯარის შემადგენლობის კულტურულად და პოლიტიკურად ამაღლების აუცილებლობაზე ზედ მეტია ლაპარაკი, ამისათვის ყველა ნაწილებში და ასეულებში არის მოწყობილი სამკითხველოები, პარტიული და პოლიტიკური წრეები. სამხატვრო და მომღერალთა წრეები და სხვა. ამ წრეების დაახლოვებას წ. არმიელთა მასასთან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ საქმესაც უნდა მიაქციოს ყურადღება პარტ-კომისიამ. გაიცნოს ნაწილი, რომ მას ნათელი წარმოდგენა უნდა ქონდეს თავის ნაწილის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. რის შემდეგ საერთო ძალით შეძლება გვექნება გამოვასწოროთ ყველა არა ნორმალური მოვლენები, რასაც კი ადგილი ექნება ჩვენ ჯარის ცხოვრებაში. **ს. ლ.**

მეც ხედავთ მოხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

დასასრულ გარჩეულ იქნა მიმდინარე კითხვები, სადაც კამათი იყო კომუჯრედის ზოგიერთ შეუფერებელი წევრების შესახებ, რომელზედაც იქნა გამოტანილი სხვა და სხვა დადგენილებები და კრება დაიხურა. **ხნ.**

## პარტიული ცხოვრება.

16 მაისს მოხდა ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ, როგორც წევრები, ისე უპარტიო წითელ არმიელები, უფროსი შემადგენლობა და მუშფაკიდან და ქარხნიდან მომაგრებული მუშა-ამხანაგები.

თავმჯდომარეობდა ამხ. კოლია გიორგაძე, მდივნობდა ამხ. მიშა მაჩიტაძე.

დღის წეს-რიგში იყო:

1. ძველი ოქმის დამტკიცება, 2. საზაფხულო ბანაკად გასვლა, 3. ინფორმაციული მოხსენება და 4. მიმდინარე კითხვები.

ძველი ოქმი წაკითხვის შემდეგ დამტკიცებული იქმნა.

მეორე საკითხზე ილაპარაკა ამხ. მაჩიტაძემ, რომელმაც განმარტა ბანაკად ყოფნის დროს ყველა ამხანაგების მოვალეობა. და როგორ უნდა იმუშაონ გლეხობაში.

მესამე საკითხზე ილაპარაკა ამხ. ლომიძემ და დაასურათა დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა: ამხ. გზადგზა შეეხო კომპარტიის გამარჯვებას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საპარლამენტო არჩევნებში, პუანკარეს დამარცხებას და ნოე ჟორდანიას წერილებს, რომელსაც წესი ფუგო-ისტორიამ.

იყო მრავალი შეკითხვები. რო-

## მთლიანი სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება.

დიდი ხანი არ არის რაც ეს კოოპერატიული ორგანიზაცია დაარსდა, მაგრამ ამ მცირე ხანში მან თვალსაჩინოთ გააფართოვა თავის მოღვაწეობა. მას გარდა ტფილისისა, მოეპოვება მაღაზიები ბათომ და ქუთაისში. არ შეიძლება მათ უსაყვედუროთ მოწოდებით და ვაჭრობის საქმის დაყენების მხრივ. მას მოფენილი აქვს დუქნების ქსელი ქ. დ, ყველა ნაწილებში. აქ დიდ შეღავათით სარგებლობენ უფ-და-პოლიტ შემადგენლობა. პირველ რიგში წევრთა ინტერესებია მიღებული მხედველობაში. აუცილებლათ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდგომარეობა არ იყო წინანდელ გამგეობის დროს, ეს გაუმჯობესება უნდა მიეწეროს გამგეობის თავმჯდომარის და წევრის: ამხ. ებრალიძის და ბახტაძის ენერგიულ მუშაობას და საქმის ცოდნას. სალამი და გამარჯვება სამხედრო მომხმარებელ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც მტკიცე ნიადაგი ჩაუყარა ქ. მ. დივიზიაში კოოპერატიულ მოძრაობას.

**დ. ლაშის ღელელი.**

## ეშაფოტი.

(პოემა)

**პროლოგი.**

შეშლილი დროშები, ბურდოს
ფოჩება...—
აქ ჯანყს ება, და
თვალებ-იება
ურდოს
ო, რჩება
კეთროვანება!..
რევოლიუცია სამყაროში
და ნება
უკვდავი. - სისხლიან დროში.
ელვის დანება
ძიება
ურაგანებით;
და აფეთქება,—
ხალათ-ლურჯება
გაქანებით!...
სახე-ურჩება
იალქნებზე
მზე
დაფლეთილი,
ატლას-ლიჯყება;—
ქება

ძლენად ქართულ
ლაშქარს
აჯანყება და
ლამაზი ბრძოლების, ალით ნაყური,
და
ისტორიის სარკეში: გველი, საყურით!
ეშაფოტი და
ბიბლია თავ-მოკვეთილი,—
მუდმივ შფოთიდან
აწყვეტილი ბრბოს გონება..
უსაზღვროების ნანგრევებზე,
ვარდის თენება,
და უალვირო ცხენებზე,
ცეცხლის ენება,
ანცი მხედრების განწირვა,—
გადაჭენება!..
წირვა
გარდახდილ ღმერთების უაზრო
მოთქმა—
მოდგმა
ჯიშ-მაგარ საქართველოს გიჟი ყვილი
არწივის ძლევა
და შერკინება!..

**სეზმან ერთაწმინდელი.**

## რაზმელ მწერალნი

კულტურული მუშაობა ჩვენს საკავშირო ასეულში ღირსეულად მიმდინარეობს, მაგრამ ეს სულ რამოდენიმე თავდადებულ ამხანაგების უნარია, უმრავლესობა კი გაურბის ამ ფრიად სიმპატიურ მოვალეობას და რასაკვირველია ეს ითქმის უმთავრესად ზოგიერთ უფროსთა, ადმინისტრატიულ და კანცელარიის შემადგენლობაზე, რომელნიც ასრულებენ რა თავიანთ მუშაობას მაშინვე მოდიან და სრულიადაც არ ერევიან კულტ-მუშაობაში, რადგანაც თავი დიდ ნასწავლად, აქვთ წარმომადგენელი და ჩვენი ახლად ფეხ ადგმული კულტ-მუშაობა სასაცილოდაც არ ჰყოფნით.

ჩვენ მოუწოდებთ ასეთს ამხანაგებს თუ არ გვეხმარებიან—პატივისცემით მაინც მოეპყრან ჩვენს კულტ-მუშაობას, თორემ საქვეყნოდ შევარცხვენთ.

დროა გონზე მოვიდენ.

**მ. ხ.**

## დეზერტიროპის მსხვერპლი.

(გაგრძელება)

— არა ოლღა, მოიცა მე მივყვები სახლამდე, ძლივს ამოილუღლუღა მიხამ და ჩაჰკიდა ორივე ხელები წელში ისე მაგრად, რომ ოლღა ძლივს სუნთქავდა. ტუჩები უთამაშებდა, მაგრამ კოცნას მაინც ვერ ბედავდა მიხა.

ვინ იცის სანამდის გაუგრძელდებოდა მიხას ეს ბედნიერი წუთები, რომ დაუპატიჟებელ გამვლელს არ დაერღვია მისი ნეტარება თავისი „რა შოვ-დელიას“ სიმღერით.

— მშვიდობით, ეხლა უსათუოდ უნდა წავიდე, კვლავ გაიმეორა ოლღამ და თავი გაინთავისუფლა.

— წადი, მაგრამ მე რას მეუბნები, რა იმედს მაძლევ შესძახა მიხამ.

— შენ რა გსურს ჩემგან, რისი იმედი უნდა მოგცე, ისეთი კილოთი უპასუხა ოლღამ, თითქოს არ სცოდნოდეს მიხას გულის დარდები.

— გულში როგორღაც ჩამივარდი, ეს ერთი ხანია ვერ ვისვენებ, ძილში სულ შენ გხედავ, სულ შენ მენატრები, ყოველდღე მინდა გნახო, მუშაობაზე გული აღარ მიმიდის.

— ვიცი, მეც ვგრძნობ, მაგრამ რა ვქნა რა გიყო, შებრალების კილოთი უპასუხა ოლღამ და თვალში ჩააცქერდა.

— რა და უნდა წამომყვე ცოლად ამ შემოდგომაზე შენზე ჯვარი უნდა დავიწერო.

— არა, მიხა, მე არ ვთხოვდები, ჯერ მაინც არ მცალიან გასათხოვრად.

— რატომ, შე ქალო, მონოზნათ ხომ არ აპირებ წასვლას.

— არა ბერ-მონოზნობა მე არ მწამს, მაგრამ საერთოდ ჯერ მაინც არ გადამიწყვეტია გათხოვება... შენი ცოლის თხოვაც კი ადრეა ჯერ. რამდენი წლის ხარ, პატარა პაუზის შემდეგ შეეკითხა ოლღა.

— ოცდა მეერთეში ვარ—უპასუხა მოწყენით მიხამ.

— ხო, ჯერ შენი მოვალეობაც არ მოგიხდია და ცოლის თხოვაზე კი ფიქრობ!?

— რომელი მოვალეობა? გაკვირვებით შეეკითხა მიხა.

— რომელი და ჯერ შენ „სასალდათო“ ხარ, უნდა წახვიდე წითელ არმიელათ...

— „სალდათობის“ მოგონებაზე მიხა უშნოდ დაიღრიჯა და ძლივს გასაგონათ წაილუღლუღა:

— ოლღა, იცოდე შემოდგომა, რომ გამახსენდება, გული დამიწყებს წუხილს...

— როგორ, შემოდგომა განა ცუდი დროა, მწიფე ყურძენი, სიმინდი, ნუ თუ არ გიხარია, რომ შენი დამუშავებული ყანა-ვენახი დამწიფდება, მაჭარს ჩაასხამ, სასიმინდეებს გაავსებ.

— ძალიან მიყვარდა წინათ შემოდგომა, წრეულს კი ამ ოხერმა „სალდათობამ“ ყველაფერი შემაძულა.

— მაშ არ გცოდნია, შენ შენი მოვალეობა, მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა ოლღამ, ნუ თუ ჯერ კიდევ არ გაქვს შეგნებული, თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს კისრად თვითეულ წითელ არმიელს, რომ ჯერ კიდევ საჭიროა რევოლიუციის სადარაჯოზე ყარაულობა, რომ...

— რა საჭიროა, გააწყვეტინა სიტყვა მიხომ „ვოენობა“ ხომ გათავდა

— გეტყობა, რომ ჯერ სრულიად გამოურკვეველი ხარ. ჯარში, რომ წახვალ იქ ყველაფერს გასწავლიან.

— მასწავლიან თოფის ხმარებას, თუ როგორ უნდა ვესროლო და მოვკლა კაცი...

— სცდები, სცდები შეჰყვირა ოლღამ, იქ შენ თვალები აგეხილება, გონება გაგეხსნება, გაიცნობ მტერ მოყვარეს... რა თქმა უნდა ისწავლი თოფის ხმარებასაც, რომელიც მუდამ მომარჯვებული უნდა გქონდეს კარზე მოსულ მტრის წინააღმდეგ.

— მერე, სად არის მტერი, ვინ არის, ეხლა ხომ ერთობაა—შეეკითხა მიხა.

— შენ ისიც არ გცოდნია, რომ ჯერ ჩვენ აუარებელი მტრები გვყავს, რომლებიც ცდილობენ სისხლით მოპოვებულ თავისუფლების ფეხ-ქვეშ გათელვას... შენ გგონია, რომ ყველგან ერთობაა, ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა საჭირო ქვეყნად ძმობის, ერთობის და თანასწორობის დასამყარებლად.

— ეხ, ახლა ყველგან, ეს როდის იქნება, შეეკითხა მწარედ დაღონებული მიხა.

(გაგრძელება იქნება)

**გრ. სლავისონიშვილი.**

# ახალი ამბები.

— **სესხი კოოპერატივს.** წარმოკავშირმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გასაძლიერებლად გასცა სესხი. „გლეხის ოჯახს“ —30.000 მან. მევენახეთა ამხანაგობა „კონცს“ 50.000 მან., ახალციხის ამხანაგობა „მელუს“ 5.000 მანეთი.

— **ჯარიდან დაბრუნებულნი შრ. ბირჟაზე.** შრომის ბირჟა, ჯარიდან დაბრუნებულთ გზავნის სამუშაოზე რიგს გარეშე: დღემდე 260 კაციდან სამუშაოზე გაიგზავნა 110 კაცი.

— **საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად.** ქუთაისის მაზრის გლეხკომმა დაადგინა მოაწყოს საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებელი პუნქტი. ამ მიზნისათვის შეძენილ იქნება საუკეთესო ჯიშის საქონელი.

— **ღვინის გაგზავნა რუსეთში.** წარმოკავშირმა ხელშეკრულება დასდო რუსეთის „ვინსინდიკატთან“ 200.000 ვედრო ღვინის გაგზავნის შესახებ, 100.000 ვედროს კი გამაგრებულ სპირტათ გაუგზავნის გასანაღდებლად.

— **უმუშევართა გაგზავნა სამშობლოში.** შრომის ბირჟამ აპრილის განმავლობაში, სამშობლოში დააბრუნა 41 უმუშევარი და 30 მათი ოჯახის წევრები.

— **მკურნალობა ამბულატორიებში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა განიზრახა ამბულატორიებში მკურნალობის უფლება მისცენ არა მუშამოსამსახურეებსაც ფასის გადახდით.

— **ბუხგალტერთა გამოცდა.** 19 მაისს საღამოს, შრომის ბირჟის შენობაში იწარმოებს უმუშევარ ბუხგალტერთა გამოცდა ცოდნის შემოწმების მხრივ.

— **ლენინის ძეგლი ბაქოში.** აზერბეიჯანის სახ. კომის. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა. კ ცაკის წინაშე, რათა ბაქო ჩაირიცხოს იმ ქალაქთა სიაში, სადაც უნდა დაიდგას ლენინის ძეგლი. ა. კ. ცაკმა უკვე აღძრა სათანადო შუამდგომლობა ს. ს. ს რ. ცაკის წინაშე.

— **ექიმთა სამეცნიერო ყრილობა.** დღეს 18 მაისს ტფილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს ექიმთა სამეცნიერო ყრილობა.

— **1905 წლის რევოლიუციის დღესასწაული.** 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავის დღესასწაულის მომწყობ კომისიაში ა. კ. ცაკის წარმომადგენლად დაინიშნა ა. ენუქიძე.

— **ყარაბახელი დამშეულები.** ყარაბახელ დამშეულთა სასარგებლოდ ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვის თანახმად ფინ. სახ. კომისარიატმა გადასდო 10.000 მ.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 16 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 83 უმუშევარი. მოთხოვნილება იყო 74-ს. ახლად ჩაეწერა 90 კაცი.

# ხელოვნება

— **ციმბირელის წიგნი.** გამოვიდა და იყიდება პროლეტ. პოეტ გოგიტო ციმბირელის ლექსთა კრებულის 1-ლი წიგნი. წიგნი ძლიერ ლამაზათაა გამოცემული.

# სასოფლო მეურნეობა.

## ძროხის წლოვანების გაგება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხის წლოვანობის გაგებას იმაზე, თუ როგორი მეწველია ის.

უმეტეს შემთხვევაში იმის დანამდვილებით გაგება თუ როგორი მეწველია ძროხა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მას შეუსრულდება 5-6 წელი, ესე იგი, სამი თუ ოთხი ხბოს მოგების შემდეგ. რვა ცხრა წლის ძროხა უფრო მეტ რძეს იძლევა, უკეთ იწველის, შემდეგ კი წველას უკლებს და ათი-თერთმეტი წლის ძროხის შენახვა იშვიათად არის სასარგებლო.

რქიან ძროხების წლოვანობის გაგება შეიძლება მისივე რქების საშუალებით. ძროხას, როგორც რქები ისე მთელი სხეული ეზრდება უთანასწოროდ. როდესაც ძროხა მაკეა, მაშინ რქები და მისი ძვლები ნელა იზრდებიან, ხბოს მოგების შემდეგ კი სწრაფად ვითარდებიან. ამის გამო ყოველ ხბოს მოგების შემდეგ ძროხას რქებზე უჩნდება ბეჭედის მსგავსი. ამნაირად, საჭიროა ასეთი ბეჭდების დათვლა რქებზე და მას უნდა მიუმატოთ ორი (ორი წელი პირველი ხბოს მოგებამდე), რომ დანამდვილებით გაიგოთ ძროხის წლოვანობა. თუ ძროხა არ დამაკებულა თავის დღეში, ისე დარჩა, მაშინ რქებზე ბეჭდები უფრო დაშორებულია ერთმანეთზე, ასეთი დაშორებული ადგილები უნდა მიუმატოთ ბეჭდების რიცხვს, რომ გაიგოთ რამდენი წლისაა ეს ძროხა.

კბილების გასინჯვით ძროხის წლოვანების გამოკვლევა უფრო ძნელია და არც მაინც და მაინც დიდი საიმედოა. შედარებით სწორედ შეიძლება წლოვანობის გაგება ღრძილების საშუალებით ოთხი-ხუთ წლამდე.

X.

# ტეხნიკა და აირის სინამდვილე.

ქიმიური საშუალებით ომის წარმოება წარმოადგენს არამც თუ სრულიად ახალს ბრძოლის საშუალებას, არამედ განსაკუთრებულად ტეხნიკასთან დამოკიდებულს და უაღრესად შეკავშირებულს სამხედრო უწყების სპეციალ სამსახურის დარგთან.

სახელმწიფოში არ მოიპოვება მოქალაქე თუ სამხედრო პირი, რომელსაც შეეძლება წინასწარი მომზადების მიუღებლივ ქიმიური სამსახურის შესრულება—როგორც თავდასხმის ისე თავდაცვის მხრივ.

ამ ჟამად წითელ არმიას და საბჭოთა რესპუბლიკებს წინ აქვთ დასმული მორიგი ამოცანა: საფუძვლიანი შესწავლა ქიმიურ ომის მთავარ პრინციპებისა და მისი განსაკუთრებული თვისებებისა. ეს წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ომში ქიმიური საშუალებათა გამოყენება წარმატებით შეუძლებელია.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ რამოდენიმე წლების შესწავლისა და ქიმიურ მრეწლობის განვითარების მიხედვით, საბჭოთ რესპუბლიკებს ეყოლება მრავალრიცხოვანი ხალხი, რომელსაც ეცოდინება ომის მიზნისათვის დანიშნული მრავალი ქიმიური შეერთება.

იმპერიალისტურ ომის დროს სამხედრო ქიმიური საშუალებას ხმარობდა არტილერია, ქვეითი ჯარი და ქიმიურ სამსახურის ჯარი, მომავალ ომში ამათ უეჭველია მიემატება საჰაერო და საზღვაო ფლოტიც.

ქიმიური ომი, თავის პირველ უხეშ მოხმარების ხანაშიც კი, წარმოადგენდა შეტევის უძლიერეს საშუალებას. მის მოქმედების ძალას ახასიათებს ის მოვლენა, რომ ბრძოლაში დაზარალებულ 100 კაცში, 27 კაცი მოდიოდა აირის მოქმედების წილად. ამასთან მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ ბრძოლის ველზედ სხვა და სხვა მიზეზებით მომკვდართა რიცხვში იმყოფებოდენ აირით მოწამლული ხალხიც.

იმ გვარი ზიანი, რაც ქიმიურმა საშუალებამ მიაყენა მოკავშირეთ, შედარებით სხვა იარაღს არ დაუზარალებია ისე. საერთოთ გაბატონებულია შეხედულება, რომ ქვეითი ჯარის მოქმედება შესაძლოა შეედაროს აირის მოქმედებას, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნამდვილად იქნებოდა აღნუსხული ტყვიისა, ხიშტისა, ტყვიამფრქვევთა და ხელის გრანატებისაგან დაზარალებულთა რიცხვი.

გერმანელებს არგონებში რომ ჰქონოდათ საკმაო რაოდენობა ხარდალის აირისა და რომ მათ იგი ფართეთ მოეხმარნათ—ჯერ ერთი მოწინააღმდეგეს ორჯერმეტ ზიანს მიაყენებდენ და მეორე ომი კიდევ საკმაოდ გაგრძელდებოდა.

გ. ბ—შვილი.

# საექსკურსიო მეთოდი.

(დასასრული)

დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიას ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც წითელ არმიელები, უმეტეს ნაწილათ გლეხის შვილები ეცნობიან და უახლოვდებიან მუშებს, მათ მდგომარეობას, წარმოებას და სხვა. წითელ არმიელი შეადარებს თავის ცხოვრებას მუშის ცხოვრებასთან და გაეცნობა, თუ რამდენათ უფრო ადვილია მუშების ცხოვრება, ვიდრე გლეხების. მაგალითად: განსაზღვრული დრო 8 საათის სამუშაო დღე, განსაზღვრული ხელფასი, რომელიც მუდამ თვეს ეძლევა, რასაც ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის. გლეხი კი დამოკიდებულია ბუნებაზე და თუ ბუნებამ მას უღალატა, ის სრულიად ხელ ცარიელი დარჩება. ეს განასხვავებს უმთავრესად გლეხებს მუშებისაგან.

მაგრამ, თუ ჩვენ გლეხური ელემენტები შევიყვანეთ მაღაროებში, სადაც მუშების მდგომარეობა ძლიერ მძიმე და აუტანელია, მაშინ ისინი მიიღებენ საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას: გაეცნობიან მათ მუშაობის პირობებს, სიბნელეში მაღაროში მუშაობის სიძნელეს, ამის გამო ხშირ ავათმყოფობას და შედეგათ სიცოცხლის შემოკლებას. ამ შემთხვევაში გლეხი უპირატესობას მისცემს თავის მდგომარეობას, რადგანაც შეადარებს თავის მუშაობას წმინდა სინათლეში, წმინდა ჰაერზე ამ სიბნელეში და მტვერში მომუშავე მუშის შრომას. როდესაც ჩვენ ვაწყობთ ექსკურსიას ქარხანაში, ან ფაბრიკაში, უნდა აუცილებლივ მიუთითოთ რომ უმთავრესი მასაზრდოებელი წითელი არმიისა არის ქარხანა.

მე უკვე ვსთქვი, რომ ექსკურსიას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი არის დაკავშირებული იმ მასალასთან, რომელსაც გადიან სკოლაში. ამისთვის მიზან შეწონილი იქნება, ექსკურსია მოვაწყოთ იმ წითელ არმიელებთან, რომელთაც ანბანი უკვე დამთავრებული აქვთ და ბუნების მეტყველებას და გეოგრაფიას გადიან. ექსკურსია შეიძლება მოეწყოს ბუნებაში და ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, ბევრათ ძნელია ბუნებაში ექსკურსიის მოწყობა, ვიდრე ფაბრიკა ქარხნებში. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ხელმძღვანელი იყვეს ყოველმხრივ განვითარებული, რადგანაც აქ შეგვხვდება მრავალი სხვა და სხვა ხასიათის შეკითხვები, რომელზედაც ხელმძღვანელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა მისცეს. გამოსავალი აქედან ის არის, რომ ექსკურსიას ჰქონდეს წინასწარი გეგმა, თუ რა უნდა დაათვალიერონ და რა უნდა გაკეთდეს. ამავე დროს ხელმძღვანელი წინასწარ არის მომზადებული, და დათვალიერებული აქვს ის ადგილები, რომელიც უნდა აჩვენოს ექსკურსანტებს და აქვს გათვალისწინებული, თუ როგორ მიაქციოს მათი ყურადღება განსაკუთრებულ კითხვების დამუშავებას, ამ შემთხვევაში ექსკურსია ნაყოფიერად ჩაივლის. თუ მას ეს წესი არა აქვს დაცული, ექსკურსია უშედეგო და სრულიად უნაყოფო იქნება.

შეიძლება მოეწყოს ექსკურსია მუზეუმში, სადაც შეგვიძლია განვიხილოთ მთის სხვა და სხვა ნიადაგის ჯიშები, ან კოლექციები, მოდელები და სხვა. ბევრად ადვილია ექსკურსიის მოწყობა ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ხელმძღვანელს ისეთი დიდი წინასწარი მომზადება არ სჭირდება, როგორც ბუნებაში. ვინაიდან ფაბრიკა-ქარხნებში არიან ისეთი სპეცები, რომელთაც შეუძლიათ დაწვრილებით აუხსნან და გარკვეული პასუხი მისცენ ამა თუ იმ შეკითხვაზე. მაგრამ აქაც საჭიროა ხელმძღვანელმა მისდიოს წინასწარ შემუშავებულ გეგმას და მიაქციოს ექსკურსანტების ყურადღება საჭირო საკითხების დამუშავებას. თუ ყველა ხსენებული პრინციპები დაცული იქნება, მაშინ ექსკურსია გაამართლებს ყველა იმ იმედებს, რომელსაც ჩვენ ვამყარებთ მასზე.

მერაბიშვილი

# ელექტრობა და ტექნიკა

## გზების გასანათებელი ახალი ტიპის ფარნები.

დიდ ქალაქებში, სადაც განუწყვეტლად დიდი მოძრაობაა, ავტომობილების, ეტლების და სხვათა, დიდ და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გზების სრული განათება. აქამდე ეს საკითხი გადაუჭრელი იყო, რადგან ვერ გამოენახათ ისეთი საშვალება, რომ აღნიშნულ მიზნისათვის მიეღწიათ სავსებით. განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის დიდ ქალაქებში იყო დაბადებული ამის მოთხოვნილება, სადაც დღე და ღამე განუწყვეტელი მოძრაობა სწარმოებს. ამ მიზანს მიაღწიეს ამერიკაში და ეხლა ვერნახავთ იქ ერთ დიდ ქალაქს, რომლის ქუჩები და თვით ქალაქ გარეთ მოთავსებული ქუჩებიც ძალზე არ იყვენ განათებული.

მაგრამ ამ ძიების დროს ამერიკელებს მხედველობაში ჰქონდათ ერთი გარემოება. უნდა აღმოეჩინათ ისეთი კონსტრუქციის ფარნები, რომ რაც შეიძლება ნაკლები ელექტრონული ენერგიის დახარჯვით და სუსტი სანათურებით, მიეღწიათ გზატკეცილების ძლიერი განათებისათვის.

სხვა და სხვა ლაბორატორიეებში სანათურების სხვა და სხვა ფორმების შესწავლამ და მრავალი წლების გამოცდილებამ ამ საქმეში ამერიკელები მიიყვანა ისეთი სახის აბაჟურის გამოგონებამდე, რომელიც სავსებით ასრულებს დასახულ მიზანს. ე. ი. აკლები ელექტრონული ენერგიით სუსტი სანათურები იძლევა დიდ განათებას.

უმთავრესი სიძნელე ასეთი სანათურების გამოგონებამდე იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვეულებრივი ტიპის სანათურები ანათებენ სივრცეს მხოლოდ ბოძის ირგვლივ და შემდეგ კი გაუნათებელი რჩება. ეს გარემოება მოითხოვდა, რომ ჩვეულებრივი ტიპის ფარნები უნდა მოთავსებულიყო ერთმანეთთან ახლოს, რაც გძელ გზა ტკეცილზე შეუძლებელი იყო და მოითხოვდა აუარება ხარჯებს. ეს სიძნელე შემდეგ ნაირად იქნა დაძლეული: თითეული სანათური მოთავსებული იქნა ორ წონისებურ (კონუსი) მოპირდაპირე სარკეებს შორის. აბაჟურები მიმართავენ სინათლის სხივებს ორივე მხრივ დიდ მანძილზე და ამავე დროს აბაჟურებში სწორკუთხოვანი ამონაჭერი ბოძის ძირში მიმართავს სხივებს. 450 სანთლიანი სანათურები ასეთი კონსტრუქციით იდგმებიან 120 მეტრის დაცილებით ერთმანეთისაგან და ასეთი განაწილებით გზატკეცილი სრულიად განათებული რჩება.

ამავე დროს სანათურის აბაჟურები დახურული არიან გვერდებიდან, ამისთვის განათებულია მხოლოდ გზატკეცილი· რომელიც ირგვლივ წყვდიადით მოცულ სივრცეში ნათელით კაშკაშებს.

**შეიხ.**

# განცხადება.

ორშაბათს 19 მაისს გარნიზონის საგაზაფხულო კლუბში (პლეხ. პროსპ. ყოფ. „**ვეჩერნიე ზორი-ს** ბაღში) საღამოს 6 საათზე იქმნება გაგრძელება კამათისა 1-ლ ლეგიონის კლუბის უფროსის ამხ. **სიხარულიძის** მოხსენების გარშემო.

სასურველია კამათს დაესწროს ყველა კლუბის მუშაკნი და დაინტერესებულნი ამ საკითხით უფ და პოლიტ შემადგენლობა.

მოხსენებამ და კამათმა მრავალი საგულისხმიერო პრინციპიალური შეხედულებანი გამოაშკარავა საკლუბო მუშაობის ირგვლივ.

**საკლუბო განყოფილება.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ილ. ჩანტლაძე.